

საგაზეთო

საერთო უკრაინული გაზეთი შაბათი 21 მაისი 2005 №112 (2435)

ფასი 50 თეთრი

ფეხსიერებითი უ-ფორტიანობა ბათუმში — კოლხეთი არ იქნება?

ფოთის „კოლხეთს“ ცალი ფეხი ქვედა ლიგაში აქვს, უფულობამ თამაშის ხალისი წაართვა და აგერ, ახალი ამბავიც: კოლხეთს თავკაცმა სერგო გაბელაიამ გვითხრა, გუნდი კვირას „ბათუმთან“ სათამაშოდ ჩასვლას არ აპირებსო. როგორც ჩანს, ფოთელთა გადანაცვლებამ მტკიცეა, მაგრამ თუ ხვალამდე რამე შეიცვალა, მაგას რა აჯობებს, თუ არა, მატჩნაკლული ტური შეგვრჩება. ტური, რომელმაც, შესაძლოა, ჩემპიონი გაარკვიოს — ლიდერი „დინამო“ რომ ფეხზეცხვარგამობმულ „დილას“ მოუგებს, მაგას რა გამოცნობა უნდა და თუ მცხეთაში „ტორპედო“ „ვიტ ჯორჯიას“ ვერ წააქცევს, თან „თბილისიც“ ვერ მოათვინიერებს ჯერაც წაუგებელ „ლოკომოტივს“, დინამოელები ბოლოსწინა ტურშივე გაინაღდებენ ვასანაღდებელს.




სამარტავედოს კარდინალის ვიდეოჩვენება


ლ. ფოთის კოლხეთი



ჯირითი მორჩა
ჯირო ამბავს მიაღება



კასი. რობელის მტრებსაც უყვარდათ
რეჯი მილერის ფაზილა



ტიტა კალანდიაკი ისლანდიაში
საუკეთესო


დღეა ფინალის, დღეა უკანასკნელი




გაისად ამ დროს ლონდონში განახლებული „უემბლი“ აგუგუნდება და ასოციაციის თასის ფინალსაც ის უმასპინძლებს, მაგრამ ეს გაისად იქნება, მანამდე კი ჯერ დღევანდელი დღეა და კარდიფის „მილენიუმზე“ ამ ჯილდოს წლებანდელი მფლობელის ვინაობა გასარკვევი — „არსენალი“ თუ „მანჩესტერი“? კარდიფში ეს ფინალი მეზუთედ და უკანასკნელად ტარდება. როგორი წყვილია?! ამ ორი ინგლისური ტიტანისა და მათი მწვრთნელების ჯიბრი მთელ მსოფლიოსაა მოდებული, იმას, რაც დღეს „მილენიუმზე“ უნდა მოხდეს, რეკლამა არ სჭირდება, თუმცა მაინც დავეძენთ — არსენ ვენგერისა და ალექს ფერგიუსონის დაპირისპირებაში ანგარიშია 11:11. დღეს საღამოს თანაფარდობა უნდა დაირღვეს.

ქომაგთა ლიგა ნემსაძის ქომაგია ჩვენ გვჯერა სააკაშვილის!


სამი კვირის წინ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგამ პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც გაცხადდა, რომ ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში ქომაგთა ლიგისვე თავმჯდომარე ზურაბ პეტრიაშვილი უნდა ნარედგინა. პეტრიაშვილი კენჭს აღარ იყრის, თუმცა ერთ-ერთი კანდიდატის — გიორგი ნემსაძის მხარდამჭერია და ლიგასა და თავად საქართველოს ნაკრების ექსკაპიტანს ოპტიმიზმი არ აკლიათ



ზურაბ პეტრიაშვილი



გიორგი ნემსაძე




20 მაისი გუზინ იყო ფედერაციას ოთხი პრეზიდენტი ჰყავს

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის ვადა გუშინ, საღამოს ექვს საათზე ამოიწურა: ვლადიმერ გუცაევი, ნოდარ ახალკაცი, რევაზ არველაძე, გიორგი ნემსაძე — აი, ის კანდიდატები, რომლებიც 11 ივნისს დანიშნულ ფედერაციის ყრილობაზე პრეზიდენტობისკენ გაიწვევენ. ყრილობაზე ხმის უფლება 26 დელეგატს ექნება, მათგან ათის ვინაობა უკვე ცნობილია: გორის „დილა“ — გოჩა ლომიძე, ფუტხალის ასოციაცია — გრიგოლ ცაავა; მსაჯთა ასოციაცია — ანატოლი მილჩენკო; „ბათუმი“ — როინ ნაკაშიძე; შიდა ქართლის რეგიონული ფედერაცია — გიორგი რევაზიშვილი; აფხაზეთის რეგიონული ფედერაცია — ვია გვახავა; ქუთაისის „ტორპედო“ — ჯემალ ხაჭაპურიძე; თბილისის „ლოკომოტივი“ — ვაჟა თოფურია; მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაცია — ვიტალი გრძელიშვილი; ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი — მურთაზ ხურცილავა. დანარჩენი 16 დელეგატის ვინაობა ხმოსანმა სუბიექტებმა ფედერაციას 25 მაისამდე უნდა აცნობონ. — დღეს შეწყდა პრეზიდენტობის კანდიდატთა განაცხადების მი-

ღება. ამ წუთიდან, ვიდრე არჩევნებამდე, ფედერაციის მუშაკები პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებებში ვართ, რა თქმა უნდა, თუ მათ ჩვენი დახმარების სურვილი ექნებათ — თქვა გუშინ ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ. — ფედერაციის ყრილობას ფიფა-უეფას წარმომადგენლებიც დაესწრებიან: თბილისში ჩამოვა უეფაში საქართველოს კურატორი ბრუნო ვოლფსბერგერი და იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იოზეფ მიფუსი, ფიფადან კი შამპანი გვესტუმრება — ეს ფედერაციის გენმდივნის თანაშემწე რევაზ შენგელიამ თქვა. და ბოლოს, ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა და პრეზიდენტის არჩევნები სასტუმრო „ქორთიარში“ 11 ივნისს 12 საათზეა დანიშნული. იქამდე კი, წინა დღეს ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართება. პრეზიდენტის გამოსავლენად საკმარისი ნახევარზე ერთით მეტი ხმა, ხოლო თუ ვერცერთმა კანდიდატმა 13-ზე მეტი ხმა ვერ მოაგროვა, დაინიშნება მეორე ტური და ყველაზე ნაკლები ხმის მქონე კანდიდატი პრეზიდენტობას დაემშვიდობება.

კობა ინასარიძე

რევაზ შენგელიას ავტორობით გამოვიდა ქართული ფეხბურთის ყოველწლიური, რიგით მე-13 წიგნი. ავტორი მკითხველს აცნობს საქართველოს მე-15 ჩემპიონატის, თაისისა და რეგიონული ლიგის გათამაშების სტატისტიკურ მონაცემებს. წიგნში ასევე ნახავთ ევროტურნირების, ევრო 2004-ისა და სხვა საინტერესო მონაცემებს... — დიდი მადლობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და პირადად ვალერი ჩოლარიას. სწორედ მათი დახმარებით მოხერხდა ამ წიგნის გამოცემა — თქვა რევაზ შენგელიამ. მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბული წიგნი უკვე იყიდება.



თქვენი ინტერვიუ

ალენ ჟირესთან

მოგვართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmall@Caucasus.net

თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგვხსენებთ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.



პარლიზის „მილენიუმზე“ მეხუთედ და უკანასკნელად ტარდება ასოციაციის თასის ფინალი: გაისად უკვე მწყობრში იქნება ახალი „უეგბლი“.

უელსურ მინდორთან გამოთხოვება კი მართლაც დიდებული გამოდის. ერთმანეთს მსოფლიოს ყველაზე ძველი თასის ყველაზე დიდი მფლობელები ხვდებიან: „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

„არსენალი“ 17-ჯერ ყოფილა ფინალში და თასი 9-ჯერ მოუვია. ხუთი კარდიფული ფინალიდან, მეოთხედი ოთხში ყოფილან და ახლა იმედოვნებენ, რომ ბოლო ოთხ სეზონში შესაძლებელია ასწვენ თასს. ბოლო 25 სათასო თამაშიდან, არსენ ვენგერის გუნდს მხოლოდ ერთი წაუვია და ისიც „მანჩესტერთან“ (0:1) შარშან, „ვილა პარკზე“ გამართულ ნახევარფინალში.

ვენგერის ხელში „არსენალმა“ ორჯერ აასრულა დუბლი და სამ-სამჯერ მოიგო თასი და პრემიერლიგა. ვენგერს მეხუთედ გაჰყავს გუნდი ფინალში, „ჰაიბერიზე“ მენეჯერობის ცხრა წლის მანძილზე. მისი და ალექს ფერგიუსონის დაპირისპირება ამ ფინალის წინ ტოლდა: 11-11 (თუკი „მანჩესტერის“ მერ 2003 წლის „ჩარითი შილდის“ პენალტებით გამარჯვების მოგებად ჩაითვლით).

ამ სეზონში გუნდები მეხუთედ ხვდებიან ერთმანეთს — „არსენალმა“ მოიგო „ჩარითი შილდი“, ლიგაში კი წააგო „ოლდ ტრეფორდზე“, რითაც 49-მატჩიანი სერია შეუწყდა. „არსენალმა“ სალიგო თამაში „ჰაიბერიზე“ (2:4) და ლიგის თასზეც წააგო. ასე რომ, წლევეანდელი სეზონი ორთაბრძოლების მხრივ „მანჩესტერისაა“.

ფერგიუსონის გუნდი წლევეანდელ ფინალში თასის მფლობელის რანგშია გასული. შარშანდელ ფინალში მან „მილენიუმზე“ დაამარცხა. „მანჩესტერი“ ისტორიაში 17-ჯერ ყოფილა ფინალში და 11-ჯერ მოუვია, რაც ინგლისური რეკორდია. ფერგიუსონის ხელში გუნდი 6-ჯერ იყო ფინალში და 5-ჯერ მოიგო, თუკი დღეს „მანჩესტერის“ კაპიტანი თითო კინი ითამაშებს, მაშინ ეს მისი მე-

ინგლისი ირაკლი ბაგჩერაძე

ასოციაციის თასის ფინალი

დღეს, ხარდიფი, „მილენიუმი“. 18.00

არსენალი — მანჩესტერი

ბოლო ფინალი მილენიუმზე

რა უზაზია მოცლილი მაურინიუ?



არსენ ვენგერისა და ალექს ფერგიუსონის გუნდები ერთმანეთს დღესაც არაფერს დაუთმობენ

შვიდე ფინალი იქნება, რაც მეორე შედეგი იქნება ინგლისურ ფეხბურთში. რეკორდსმენი კი არტურ კინარდია, რომელსაც 1873-1883 წლებში მას 9-ჯერ უთამაშია ფინალი. გუნდთა დანაკლისები ცნობილია: „არსენალს“ არ ეყოლება აქილეუსით ტა-

ნეგული ლიდერი ტიერი ანრი მის/ადვილს ხოსე ანტონიო რეიესი დაიჭერს. მომჯობინებულმა ფრედი ლინჩებერმა უკვე გაიარა მზადყოფნის ფიტნესტესტი.


სავარაუდოა, რომ „მანჩესტერში“ ვერ ითამაშებენ მცველები გაბრიელ ჰაინცი და ვარი ნევილი — თუმცა, ამ უკანასკნელმა უკვე მოახერხოს და დღეს დაძლიოს ტესტი, თუ არა და მისი უმცროსი ძმა, ფილი ითამაშებს. თამაშის გამო სერ ალექსი ამბობს: „გახსოვდეთ, რომ ფეხბურთელები აღამიანები არიან, ეს ფინალია და ნერვები სულ სხვანაირია. მგონია, რომ თამაშის პირველი წუთები ხისტი იქნება, ისეთი, როგორც ორჯერ უკვე იყო ამ სეზონში“.

„მეთოფეთა“ მცველ ლორენს მაჩინია, რომ „ფინალი ხისტი, დონიერი, მაგრამ სუფთა იქნება. ჩვენ კარგ ფეხბურთს ვითამაშობთ და ყოველთვის ერთნაირად ანუ შეტევაში. მათ ეს იცინან“.

არსენ ვენგერი კი აცხადებს, რომ ფერგიუსონის მატჩისწინა გამონათქვამები მისი ჩვეული ემშაობებია: „ჩვენ არ ვიტყუებით. თავიდან, გამოვაცხადეთ, რომ ანრი ვერ ითამაშებს. ძალიან გვიანდა რომ იყოს, მაგრამ რეალური მდგომარეობა სხვაა. ამის მოუხედავად, ბოლო წამამდე დაველოდებით მის მდგომარეობას. „მანჩესტერში“ ტყუილად ჰგონიათ, რომ ანრის ვეძალათ, ეს სერ ალექსის ჩვეული ხერხია“.

ამასობაში, მოცლილი ჟოზე მაურინიუ ერთმნიშვნელოვნად „მანჩესტერს“ უჭერს მხარს მაურინიუს მთელი სეზონია ეტყობა, რომ ორ მღვეარს შორის სწორედ ის ურჩევია.

„მე პატივს ვცემ სერ ალექსს. არა მხოლოდ პატივს ვცემ, არამედ მომწონს კიდეც ის — თქვა მაურინიუმ — მასთან ერთად ყოველთვის შეიძლება ჭიკა ღვინის დალევა და გულლიად ღაპარაკი. მინდა, რომ ფინალი სწორედ მან მოიგოს. ვენგერს კარგად არ ვიცნობ, ვისაც ვიცნობ, იმაზე ვლაპარაკობ. ვიცი, რომ გულზე არ ევხატები. მე მისი გუნდი შუა სეზონში მომწონდა, როცა ზედიზედ კარგავდა ქულებს“.



რუულ ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლოა, მაიკლ ოუენმა შეცვალოს



რუულ ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედში“ შესაძლოა, მაიკლ ოუენმა შეცვალოს

ამ ბოსი მე ვარ ფერბის სამიზნე თუენია

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ახალი სამიზნე ჰყავს: მაიკლ ოუენმა წლეულს 15 გოლი გაიტანა მადრიდის „რეალის“ შემადგენლობაში და ალექს ფერგიუსონს მიანიჭა, რომ სწორედ მაიკლი გასცემს პასუხს იმ პრობლემებს, მის გუნდს თავდასხმაში რომ დაუდგა. „რეალი“ კი, თურმე, უარს არ იტყვის რუულ ვან ნისტელროიზე.

ასე რომ, ოუენი „მანჩესტერის“ მთავარი სამიზნე შეიქნება ზაფხულში თავად ფერგიუსონს კი, თურმე, სამი წლით უნდა კლუბში დარჩენა: თუ დარჩენა, ასე დავრჩებით.

ამის შესახებ მედიისთვის უამბია რაიან გიგზს, რომელმაც ესესაა მოაწერა ახალ კონტრაქტს ხელი მშობლიურ კლუბთან და იქ 2008 წლამდე დარჩება. სწორედ ამ დრომდე სურს დარჩენა ფერგისაც, რომელიც ახალ პატრონთან, მალკოლმ გლვიზერთან ამის თაობაზეც გამართავს მოლაპარაკებას.

„ბოსს დარჩენის რამდენიმე მიზეზი აქვს — თქვა გიგზმა, რომელიც 14 წელიწადია „მანჩესტერში“ თამაშობს ფერგიუსონის ხელქვეით — მას უნდა რომ

გამარჯვებული წავიდეს. ამიტომ, ჩვენი მიზანი ჯილდოების მოგება იქნება. ჩვენ ბოლოხანს ვერაფერს ვიგებთ და ყველა გრძნობს, რომ ბოსს ეს ძალიან აშფოთებს. ის ხომ მოგებაზე მომართული კაცია“.

როდესაც „მანჩესტერი“ გლვიზერის ოჯახმა ჩაიგდო ხელში, ყველა ალაპარაკდა, რომ სერ ალექსს გაუშვებენ. ოღონდაც ამ ისტორიის საერთო ფონი ისეთია, რომ ძნელად რომ გლვიზერი ფერგის შეელოს.

ამბობენ, რომ დღეს, კარდიფის „მილენიუმზე“ გლეიზერებიც იქნებიან, რათა ასოციაციის თასის ფინალს უყურონ, სადაც „მანჩესტერი“ „არსენალის“ დამარცხებას შეეცდება.

„არ ვიცი, იქნებიან თუ არა — ამბობს სერ ალექსი — ტელევიზორში კი ნამდვილად უყურებენ ამერიკაში. მე ვეცდები მივახვედრო ისინი, თუ რა არის „მანჩესტერ იუნაიტედი“. ღმერთმა ქნას, ჩვენმა ფანებმა იხეიძონ. ეს საუცხოო საცქერი იქნება მათთვის“.

ირაკლი ბაგჩერაძე

მაკმანამანი მიკროფონთან პირსმა კვირფასი კაცი გაუზგა

სტივ მაკმანამანი „მანჩესტერ სიტიდან“ გაუშვეს. მოგვხსენებთ, მანჩესტერულ კლუბში იგი ორი წლის წინ, მადრიდის „რეალიდან“ კვირ კიგანმა გადაიყვანა. კიგანი ამ წლის მარტში გაათავისუფლეს და მის ნაცვლად სტიუარტ პირსი დანიშნეს, რომელმაც თქვა: „სიტის“ მაკმანამანის შენახვა ძალიან ძვირი უჯდება და კონტრაქტს ამიტომ ვეღარ გავუგრძელებთ. სეზონის დასრულებისთანავე სტივს ვესაუბრე და ყველაფერი აუხსენი. ახლა თვითონ გადაწყვეტს, კარიერა სად გააგრძელოს“.

33 წლის სტივ მაკმანამანი ერთადერთი ინგლისელია, ვისაც ჩემპიონთა თასი (ჩემპიონთა ლიგის დაარსებიდან) ორჯერ მოუვია. მადრიდის „რეალში“ ყოფნისას ხომ სტივ მაკმანამანმა ორ ფინალში ითამაშა — 2000 წელს „რეალმა“ „ვალენსიას“ სძლია 3:0 და ინგლისელმაც ერთი გოლი გაიტანა, 2002-ში კი მადრიდელებმა „ლევერკუზენს“ აჯობეს.

ესპანეთიდან „მანჩესტერ სიტიში“ დაბრუნებულმა ფეხბურთელმა ერთი სეზონი კარგად ჩაატარა, მაგრამ შარშან დაშავდა და მთელი წელი ფაქტობრივად, ამიტომ გაუცდა.


ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებს სტივ მაკმანამანი. ამჟამად იგი ინგლისურმა ITV-იმ მიიწვია და ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩზე, სადაც კომენტატორობას გასწევს.

გაზა ხუციშვილი



სტივ მაკმანამანი ჟურნალიზმით უგუნდოდა

იტალია ზოგი ასე უბერავს... ლიბიო საიდუმლო გათქვა



მარჩელო ლიბიო „იუვენტუსს“ ქვეყნის ჩემპიონობა უკვე მიუღო

XXXVII ტური

წესალ

პირველი	: ბოლოვანი
წამყვანი	: შიორინოვა
სამპლონი	: 06:30
ლივორნი	: იუნანტუნი
რეჟისა	: ლიბი
პარაზა	: მისინა
ატალანტა	: რომა
პარმა	: სინა
კალიარი	: უდინეზა

გუშინ

პილიანი	: პალერმო
---------	-----------

(იხ. მე-15 გვერდი)


სადღეისო პითარება

იუვენტუსი	36	25	7	4	61:23	82
მილანი	36	23	8	5	59:24	77
ინტერი	36	17	17	2	64:37	68
უდინეზე	36	17	9	10	54:38	60
სამპლონი	36	17	9	10	42:28	60
პალერმო	36	12	15	9	42:38	51
მესინა	36	12	11	13	42:49	47
კალიარი	36	10	13	13	48:55	43
ლივორნი	36	11	10	15	46:57	43
ლაციო	36	11	9	16	44:49	42
ლეჩე	36	10	12	14	61:68	42
რეჯინა	36	10	12	14	34:43	42
ბოლონი	36	9	14	13	33:35	41
რომა	36	10	11	15	54:58	41
პარმა	36	10	10	16	45:62	40
სინა	36	8	15	13	42:54	39
კიევი	36	10	9	17	31:49	39
ფიორენტინა	36	8	14	14	38:49	38
ბრეშა	36	10	8	18	35:50	38
ატალანტა	36	8	11	17	33:42	35

„ლივორნი“ „იუვენტუსს“ მასპინძლობს და ამ თამაშის წინ მეტოქეთა ბოლო შედეგების გადათვლიერება ძალიან სასიერო საქმე გამოდგა: თურმე მასპინძლებს ზედიზედ სამი შეხვედრა აქვთ წაგებული, სტუმრებს — ზედიზედ ოთხი მოგებული. სასიერო და საინტერესოა „ლივორნოსა“ და „იუვენტუსის“ ურთიერთობის ამბავიც. კერძოდ, „ლივორნი“ ის გუნდია, რომელმაც იანვარში ტურინელთათვის რუმინელ ადრიან მუტუს გაუფორმა კონტრაქტი. (მოგესხენებათ, მუტუსთან დაკავშირებით გარკვეული იურიდიული სირთულეები იყო და „ბებერ ქალ-

ბატონს“ თავდამსხმელის „ირიბი“ ყიდვა მოუხდა). თავის მხრივ, გასულ ზაფხულს „იუვენტუსს“ „ლივორნოსთან“ შეიძინა ჯორჯო კიელინი, რომელიც შემდეგ „ფიორენტინას“ მიაცირავა. „ლივორნოს“ მწვრთნელი წარსულში „მილანის“ ცნობილი ფეხბურთელი რობერტო დონადონი გახლავთ. იგი იმ დიდ „მილანში“ თამაშობდა, რომელმაც „იუვენტუსის“ დღევანდელი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით 1994 წელს ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. დონადონის, წინა ტურის ანუ „ინტერთან“ 0:1 დამარცხებულ შემად-


გენლობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა მოუწევს — ფაბიო გალანტი ალესანდრო ლუკარელის ადგილს დაიკავებს, მარკო ამელია ჯანმატეო მარჯინის შეცვლის. ხოლო დავიდ ბალერი მარკო პურეცელს. და მაინც, დღეს ლივორნოში მთავარი გმირი 38 წლის ვეტერანი იგორ პროტი იქნება, რადგან მან გამოაცხადა, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთის თამაშს თავს ანებებს. „იუვენტუსში“ კი ჯანლუკა პესოტო გამოჯანმრთელებულ ჯონათან მებინას დაუბრუნებს ადგილს დაცვაში. „ინტერს“ თავი ქუდში აქვს და გენუაში,



კლაუდიო ლოტიტო

ლაციოს ფული ისევე არა აქვს ლოტიტოს ჭორები ნაკლებად აღელვებს

რომის „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ირწმუნება, რომ ჯოვანი ტრაპატონისთან არანაირ მოლაპარაკებას არ ანარმოებს. დედაქალაქელთა მმართველმა ისიც თქვა, სტეფანო ფიორეს დაბრუნება გვინდა, მაგრამ ბევრ ფულს ვერ დავხარჯავთ და იქნებ ვინათხოვროთო. ბოლომდე გაურკვეველია ჯულიანო ჯანიკედას ამბავიც — „ლაციოს“ მისი შენარჩუნების იმედი, ფაქტობრივად, გადაენურა, ხოლო 30 წლის ნახევარმცველი სად გააგრძელებს კარიერას, ჯერ თავადაც არ იცის



სტეფანო ფიორე


მოგახსენებათ, მიუხედავად „ბენფიკაში“ წარმატებული მუშაობისა, ჯოვანი ტრაპატონის იტალიაში დაბრუნება უნდა. ცოტა ხნის წინ კი გაცრეკელდა ინფორმაცია, „ლაციო“ გამოცდილ სპეციალისტს სამწლიან კონტრაქტს და სეზონში 600 ათას ევროს სთავაზობსო. კლაუდიო ლოტიტო: „ტრაპატონისთან არანაირი კონტრაქტი არ მქონია. ამ ჭორების საფუძველი არ არსებობს. ჩვენ ერთადერთხელ ვისაუბრეთ, დაახლოებით ერთი წლის წინ. მაშინაც კონკრეტული არაფერი განვიხილავს. რაც შეეხება გუნდის მთავარი მწვრთნელის საკითხს, ეს სეზონის დასრულების შემდეგ გავრკვევ“. პარალელურად გაცრეკელდა ჭორები, თითქოს დედაქალაქელთა სპორტულმა დირექტორმა გაბრიელე მარტინომ ტრაპატონს მოლაპარაკება პრეზიდენტის ზურგს უკან და-

იწყო და გაუგებრობაც ამას მოჰყვა. თუმცა კლაუდიო ლოტიტომ ესეც უარყო — ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილებას მხოლოდ მე ვიღებ და გუნდში არანაირი უთანხმოება არ არსებობსო. ამასობაში, კომენტარისგან თავს იკავებს „ლაციოს“ ამჟამინდელი თავკაცი ჯუზეპე პაპადოპულო. შეგახსენებთ, ჩემპიონატის ბოლომდე დედაქალაქური კლუბის ყველა წევრს პრესასთან ურთიერთობა ეკრძალებოდა. როგორც ამბობენ, რომელთა უფროსობა პაპადოპულოს მუშაობით უკმაყოფილოა და „სტადიო ოლიმპიკოზე“ სეზონის ბოლოს კიდევ ერთი ახალი სპეციალისტი ჩავა. ამის შემდეგ, „ლაციოს“ პრეზიდენტი სტეფანო ფიორეზე გადაერთო. როგორც იცით, ამ უკანასკნელმა ბერნარდო კორადისთან ერთად გასულ ზაფხულს გუნდი დატოვა და „ვალენსიაში“ გადაბარგდა, თუმცა ესპა-

ნურ კლუბს ვერც ერთი მათგანი ვერ მოეწონა და ახლა სამშობლოში დაბრუნება უნდათ. ფიორეს უკან გამოწვევა თავად დედაქალაქელებსაც სურთ, მაგრამ ხელს გუნდის ფინანსური პრობლემები უშლით. შეგახსენებთ, „ლაციოს“ ერთხანს ვაკატრებაც კი ემუქრებოდა და ვითარება შედარებით სწორედ კლაუდიო ლოტიტომ გამოასწორა. „ფიორე კარგი ფეხბურთელია და ჩვენ მისი დაბრუნება გვინდა, თუმცა ბევრი ფულის დახარჯვის საშუალება არ გვაქვს. იმედი, „ვალენსიასთან“ მოლაპარაკებას შევძლებთ და სტეფანოს ერთი სეზონით ვინათხოვრებთ, შემდეგ კი ბოლომდე გამოსყიდვაც მოხერხდება“ — დასძინა ლოტიტომ. გუნდს ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ შეუთანხმდა ჯულიანო ჯანიკედა და მან სა-

ბოლოდ გადაწყვიტა „ლაციოს“ დატოვება. თანაც მისი რამდენიმე გრანდია დაინტერესებული — 30 წლის ნახევარმცველი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდება. აქამდე ცნობილი იყო, რომ ჯანიკედას დამატება „იუვენტუსს“ სურდა და ტურინელებიც მიზანთან ახლოს იყვნენ, მაგრამ საქმეში „ინტერი“ ჩაერია, მიღანელთა თავკაც რობერტო მანჩინის „ლაციოსში“ მუშაობისას ჯანიკედასთან მშვენიერი ურთიერთობა ჰქონდა და ნახევარმცველსაც კარგად იცნობს. ამბობენ, მანჩინიმ გუნდის მფლობელ მასიმო მორატის ფეხბურთელის ყიდვა სთხოვა და „ინტერი“ უკვე სამწლიან კონტრაქტსაც ამზადებს, ჯანიკედას ხელფასი კი სეზონში 1 მილიონი ევრო იქნებაო

ტონდ რუსეთი არა ცინცაჲმ სანაპრებოლ ეზაღება



ტონდ რუსეთი არა ცინცაჲმ სანაპრებოლ ეზაღება. იყო, რომ არ ვთამაშობდი, მაგრამ ვფიქრობ, 10-15 წუთით მოედანზე ყოფნას უსათუოდ ვიმსახურებდი. პერმელეს ჩემს გარდა კიდევ 4 ლეგიონერი არიან და ლიბიტის გამო არ მათამაშებენ...

— „ურალ გრეიტ“ ახლანახან გა-
მოეთიშა რუსეთის ჩემპიონატს, შენ
კი უმაღლესი ჩემპიონატის მონა-
საზღვრე არ ვისაუბრებ პერმელესთან?
— მაგათთან არაფერი მაქვს სა-
ლაპარაკო, რადგან „ურალ გრეი-
ტში“ და საერთოდ რუსეთში თა-
მამს აღარ ვაპირებ. ერთადერთი
გამონაკლისი მოსკოვის ცსკაა, რო-
მელითაც მოქმედი კონტრაქტი მა-
კავშირებს და ამ ხელშეკრულებას
კიდევ სამი წელი აქვს ძალა.
— რატომ ამბობ, რომ რუსე-
თში არ ითამაშებ?
— იმიტომ, რომ რუსულ კლუ-
ბებში არ არის ისეთი დისციპლი-
ნა, როგორც უცხოეთში. რუსეთში
მეტია ტენდენციურობა და მწვრ-
თნელები უსამართლოდ იქცევიან.
მათ თავიანთი პირადი პრინციპები
აქვთ და თუ ამოვიჩემებს, მერე რაც
განდა მოინდომო, აღარ გათამაშე-
ბენ. ასე იყო „სამარაში“ და „ურალ
გრეიტში“...
— ამ გუნდებამდე ცსკა-ში იყა-
ვი...
— ცსკა-შიც არ ვთამაშობდი
ბევრს, მაგრამ ამ გუნდში ვგრძნო-
ბდი, რომ მაფასებდნენ და თუ და-
კამსახურებდი, მოედანზეც ხშირად
გავადოდი. მოუხედავად იმისა, რომ
ცსკა-ში უმაღლესი კლასის კალა-
თბურთელები იყვნენ. მაინც მიწე-
კვდა მოედანზე გასვლა და მეც მეტ-
ნაკლები შედეგით ვთამაშო-
ბდი „სამარასა“ და „ურალ გრეი-

ევროპაში სეზონი
დასასრულს უახლოვდება და
ქართველი ლეგიონერებიც
ნელ-ნელა უბრუნდებიან
სამშობლოს. დღეს თუ
ვინმეს ნახვა გინდა, ვერის
ბაღში უნდა მიხვიდე, სადაც
ფინალური მატჩების
საყურებლად ყველა ის
ლეგიონერი იკრიბება,
რომლის გუნდისთვისაც
სეზონი დასრულდა. ჩვენ
გიორგი ცინცაძე
გამოვარჩიეთ, რომლის
„ურალ გრეიტმა“ რუსეთის
ჩემპიონატის
მეთხუთმეტე რაუნდში მოსკოვის
ცსკა-სთან ნააგო და
ტურნირს გამოეთიშა. ეს იყო
და ცინცაძე პერმელეს
დაემშვიდობა, როგორც
ამბობს, სამუდამოდ. რუსულ
კლუბებში ცინცაძემ
ძირითადად იმედგაცრუება
ნახა და ამბობს, ცსკა-ს
გარდა არსად ვითამაშებო.
ერთი სიტყვით, ჯობს თავად
გიორგის მოეუსმინო...

— ახლა რას აპირებ, ახალ
გუნდს არ ეძებ?
— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯერ
მხოლოდ ნაკრებზე ვფიქრობ. რ-
იგნისს ახალგაზრდებს ჩაჭრის
იწყებს ვარჯიშებს და შემდეგ კლო-
ნულის შეკრებაც დაიწყება. ჩემს
მიზანია, კარგ ფორმაში ჩავდე და
ერთვულ თუ ახალგაზრდულ
გუნდს გამოვადგე.
— კლუბს ალბათ შენი მენეჯერ-
ი გამოვიძებნის...
— სალივან რიდი ცნობილი და
მეტად ავტორიტეტული აგენტია და
ის უფუნდოდ არ დამტოვებს ისე,
თუ საოცრება მოხდა და ვერაუკუ-
რი მოახერხა, ჩემზე მოსკოვის ცსკა-
ს იზრუნებს. თითქმის გამოირიცხვია,
რომ არამილეშჩის ძირითად გუნდში
დამიძახონ. მოსკოველები სხვა
კლუბს დაუწყებენ ალბათ ძებნას,
თუ არადა, ბოლო ვარიანტი ცსკა-
ს მეორე გუნდია, რომელიც მოსა-
ვალი სეზონიდან სუპერლიგა B-
ში იასპარეზებს. თუმცე ამაზე ჯერ
არც ვფიქრობ, ეს ყველაზე ცუდი
ვარიანტია.
— მაშ, კარგი რომელია?
— თუნდაც საფრანგეთის უმა-
ღლეს ლიგაში თამაში, სადაც
„ურალ გრეიტში“ წასვლამდეც მუ-
პატივებოდნენ. უფუნდოდ დაბრ-
უნის სულაც არ მეშინია. ჯერ საბა-
კრებო თამაშებია წინ, პირად კა-
რიერას კი მერე მივხედავ.
ირაკლი პატარია

NBA PLAY OFF 2005 მაორა 6რა

გაცი, რომელიც მტრებსაც უყვარდათ ჩეჯის ნაჰიდა

19 მაისი
აღმოსავლეთი
დებროიტა 4:2 ინდიანა
ინდიანა 79:82 დებროიტა
ინდიანა: ტინსლი (10 პასი), მილერი (27),
ჯეკსონი (6), ონილი (22 ქულა, 10 მო-
ხსნა), დევისი (4); ფოსტერი (12), ჯონ-
სონი (4), ფ. ჯონსი (2), ჯ. ჯონსი (2)
დებროიტა: ბილაფსი (23), პაპილიტო-
ნი (28), პრინსი (11), რ. ვოლესი (14 ქუ-
ლა, 11 მოხსნა), ბ. ვოლესი (4 ქულა, 11
მოხსნა); მაკდაიესი (4), არიოი (2), პ
ანტერი (2)
„კალიან ცუდი დღეა“ —
ისეთი მოკლე სახით თქვა დებ-
როიტის მთავარი მწვრთნელი, იფიქ-
რებდით, მისმა გუნდმა 40 ქულით
წააგო და პლეი ოფს ხელი დაუჭი-
აო სინამდვილეში კი პირიქით მო-
ხდა „დეტროიტმა“ კონფერენციის
ნახევარფინალური სერია 4:2 მოუ-
გო „ინდიანას“ და აღმოსავლეთის
ფინალშიც ხელიზედ შესაძლე გავი-
და. მაშ, რა აწუხებს ბილაფსს? მი-
სი სეკუნდები იბრუნებო, თან საყოვე-
ლითაო რეჯი მილერი კალათბურთის
დაემშვიდობა და ყველა განიცდის
ამ ამბავს, მისიანებოც და სხვისიან-
ებოც. დიდი სნაიპერი 39 წლისა
გამოემშვიდობა ბურთსა და მოედანს.
„კიდევ ერთი წელიწადი, კიდევ
ერთი“ — ითხოვდა პირთამდე გა-
დავსებულმა „ინდიანას“ დარბაზი
„კონსეკო ფილდ.ჰაუსი“. ეხვეოდნენ
მეგობრებოცა და მეტოქეებოც ყვე-
ლას დასწავდა გული.



აი, ასე... კიდევ ერთი დიდი მო-
თამაშე წავიდა. შეიძლება ითქვას,
რეჯი მილერი ბოლო დიადი 80-
იანელი იყო და ნა აღარასოდეს
იქნება, ისეთი როგორც მათ დროს
იყო. დრეკსლერი, ბარკლი, ჯორ-
დანი, ოლაჯუონი, სტოქტონი, მე-
ლონი, პიპენი, რობინსონი, იუი-
ნგი, მულინი, კევინ ჯონსონი, ტიმ
პარდუვეი, ჯო დუმარსი... ეს ყვე-
ლანი 1983-89 წლებში მივიდნენ
ნა-ში და დღეს აღარცერთი აღარ
არის.
ხშირად უკვირდათ, ეს კაფანდა-


მავლობაში ჩაგდებული 2 560 სა-
მქულიანი, რაც უნიკალური ციფ-
რია ნბა-ს მრავლისმნახველ ისტორი-
აში.
სხვაგან არც გაუხედავს 33 წე-
ლიწადი შეაღია „ინდიანას“, და-
გროვა 25 279 ქულა და ასოცია-
ციის ლეგენდარულ პომპარდირთა
სიაში მე-12 კაცად ჩაეწერა.
თავის ბოლო ოფიციალურ თა-
მამში რეჯიმ 27 ქულა ჩააგდო,
აქედან 12 სამქულიანებით და აგ-
როვა. ბოლო წამებზე, 79:82 ახვა-
რიშზე, რა თქმა უნდა, მან სამაში
ტყორცნა. მართალია, ვერ ჩააგდო,
მაგრამ მაინც ყველა ფეხზე წამო-
უდგა.
„მე ბედნიერი ვარ, რომ ბოლო
ბურთი ვტყორცნე. ბედნიერი ვარ,
ამ სახეებს რომ ეხედავ. დიდი მა-
ღლობა ყველას.“
აღმოსავლეთ კონფერენციას ექვსი
ფინალი, ერთი დიდი ფინალი... რე-
ჯის ყველა ნატყორცნი რომ ჩაე-
გდო, ჩემპიონობის გარეშე არ დაუ-
ქნებდა ტრიუმფებს ხელს. მაგრამ
კიდევ ერთხელ გადაიკითხო ხე-
მით ჩამოთვლილი გვარები. მათ წა-
ნაადამდე თამაშში ესეც ვმარბობა.
მწარე ხელი პქონდა და ხე-
გვერ სიტყვასაც მწარეს ამბო-
ბდა, მაგრამ კარგი კაცი იყო ნბა
ალბათ დიდხანს ასე არავის ვა-
მოემშვიდობება.

კობე ჟორნი დასავლეთი

სან ანტონიო 4:2 სიატლი
სიატლი 96:98 სან ანტონიო
სიატლი: რიდნორი (10), ალენი (25), და-
ნიელსი (22), ვენსი (4), ვეიშნი (10);
უილკინსი (10), კოლინსონი (8), ფორტ-
სონი (5), პოტაპენკო (2)
სან ანტონიო: პარკერი (14), ჯინობი-
ლი (13), ბოუნი (9), დანვანი (26), მუპ
ამედი (12); პორი (14), ბერი (5), უდრიპ
ი (5), ბრაუნი, რობინსონი

ენიასარტლანგაროსო ამბავ-ხაბარი კიმა, უიკლეა, პრემი

კვლავაც გაურკვეველი რჩება წლებადღე როლანგაროსობაზე კიმ კლასტერის გამოსვლა-არგამოსვლის საკითხი. როგორც საქმეში ჩახედულ ხალხს ესსომება, ბუთქუნა ბელგიელმა ორიოდ კვირის წინ ბერლინობაზე პატი შნიდერთან ბუქნაობისას მუხლის მყესები დაიშავა და მხოლოდ ორი დღეა, რაც ვარჯიშს მოუბრუნდა. თუმცა მუხლი მას მაინც უჩმახებს და საბოლოოდ ჯერაც დაუდგენელია, შეძლებს თუ არა როლანგაროსობის ორგზის ფინალისტი წლის სეფესათიხნარო ტურნირზე — სრულფასოვნად ვინ ჩივის — საერთოდ თამაშს.




კიმ კლასტერის დაშავებული მუხლი აფიქრებს

ყოველ შემთხვევაში, თავის ვებსაიტის საშუალებით ის ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „თუკი ვარჯიშისას თუნდ მცირედ ტკივილსაც ვიგრძნობ, ჩოგანზე უმაღლეს დავაშალითებ, ხოლო თუკი ყველაფერი რიგაინად წავა და მუხლი დამიამდება, ტურნირს აუცილებლად დავიწყებ. ოღონდ, იქაც ისეთივე ვითარება იქნება — რაწამს დავატყობ, რომ ტკივილი ისევ გაუსაძლისი ხდება, არ გავრისკავ და თამაშს შევეშვები.“ ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კიმს როლანგაროსობის ფინალში 2001 და

2003 წლებში უთამაშა — პირველად ჯენიფერ კაპრიატისთან დათმო, მეორედ კი თვისტომ უუსტინ ენენ-არდენთან. 2003-ში კიმა რეიტინგისის სათავემდე აღზევებაც მოახერხა, თუმცა მერე მარცხენა მარჯაზე გადატანილი ოპერაციის გამო თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი გამოტოვა. ხანგრძლივი უქმობის შემდეგ ის კორტს მარტში ინდიანუელსობაზე მოუბრუნდა და

ჯერ იქ რომ იმარჯვებოდა, მერე კი მობაზეც გაილადა. ერთი სიტყვა — საუცხოო ფორმაში იყო და რეიტინგისის წიაღიდან მე-17-მდე ლამდე აცოცებაც შეძლო. თუმცა მუხთალმა ბედმა ბაირამობა კარგად არ დააცალა და ამ როლანგაროსობაზე ყველა მისი და უუსტინის კიმს არდენის შესაძლო დაპირისპირება ველოდით, არც ჩვენ მოგვერბოდა არც მას.



გაბრიელ პატიონიანი ფოტო

ტიტე კალანდაკე ისლანდიაში საუკეთესო

მაისში ევროპის ყველა ქვეყანაში სახელბურთო ჩემპიონატი მთავრდება და ორ-სამთვიანი შეხვედრების პერიოდი დგება. სეზონი დასრულდა შორეულ ისლანდიაშიც. ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთში მიკარგული კუნძულოვანი ქვეყნის პირველობა იმითომ გვაინტერესებს, რომ მასში მონაწილეობდა ქართველი ხელბურთელი ტიტე კალანდაკე. ტიტეს გუნდი „ვესტმანეირი“ შარშან უმაღლესი ლიგის 16 კლუბს შორის მეტხრე იყო, ამჯერად კი ქართველი ფორვარდის დახმარებით სენსაციური ნახტომი გააკეთა და პირველად თავის ისტორიაში მეორე ადგილზე გავიდა. კალანდაკე პრაქტიკულად ყოველ მატჩში შეუტკვლელად, პირველიდან ბოლო წუთამდე იყო მოედანზე და ლომის წილიც დაიღო გუნდის წარმატებაში. მას ყოველ შეხვედრა-

ში საშუალოდ ცხრა-ათი ბურთი გაჰქონდა და თავისიანებს შორის ყველაზე შედეგიანიც იყო, რაც ყველაზე სასიხარულოა, 32 წლის ქართველი ლეგიონერი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ლამაზი პრიზიც გადასცეს. ტიტე მომდევნო სეზონშიც ისლანდიაში ითამაშებს, ოღონდ სხვა გუნდში. ეს გახლავთ დედაქალაქ რეიკიავიკის „სტიარნანი“. კონტრაქტი ორწლიანია, ხოლო პირობები წინანდელზე უკეთესი. აღსანიშნავია, რომ კალანდაკესთან ერთად „ვარსკლევის“ ღირსებას დაიცავს ოთხიოდე წლის წინათ გაისლანდიელებული, თბილისელი მეკარე როლანდ ერაძე. ტიტე ისლანდიაში სწორედ „სტუშეგარდენში“ თავისი ყოფილი თანაგუნდელის „რეკლამის“ შედეგად აღმოჩნდა.

ზია ახალაძე

საქართველოს XV ჩემპიონატი მაორა ფინალური წრე

სამასნიანი რუსია

სტუ-შეპარდენი 35:19 ძარიშხალა
სტუ-შეპარდენი: რუსია (გაიტანა II გოლი), კობახიძე (8), ბოყოჩაძე (6)
ძარიშხალა: ქსოვრელი (3), ქირია (3), გრიშკაშვილი (3), გელა არაბული (3)
საუ-გამგული 5:35 თელავი
საუ-გამგული: წიფნივაძე (20), კობახიძე (13), ცოტაძე (6), მაისურაძე (4)
თელავი: გიორგელაშვილი (9), ნატროშვილი (8), ჯიშკარიანი (8)
ხ/პ თბილისი 29:21 ქუთაისი
თბილისი: სამარდანიშვილი (10), სიორიძე (6), გელაშვილი (4)
ქუთაისი: მამასახლისი (10), გოგონაძე (4), დოლაკიძე (4)

დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დასრულდება ვაე ხელბურთელთა ჩარათონული ჩემპიონატი. პირველადია, რომ ეროვნული პირველობების 15-წლიან ისტორიაში გუნდებმა ასე ბევრი თამაში ჩატარეს ფინალურ ექვსეულში გასული 27-27 მატჩის გამართვა მოუწიათ, რითაც ევროტურნირების დონეზე გავლით. ვაა რაკი ყველაფერი დასრულდა ვაამდე გარკვეული იყო დასკვნით შეხვედრებს სიცხარე მოაკლდა. სატურნირო ცხრილში მაღლა მდგომთა გუმბრდელი დიდუბრატესობიანი მატჩებიდან აღსანიშნავია „სტუ-შეგარდენი“ — „ქარიშხალი“, რომელშიც ჩემპიონატის ბომბარდირმა ვლადიმერ რუსამ მეტოქეთა კარში 11-ჯერ გაიტანა და ზუსტად 300 გოლი გაუხდა.

საბურთელო ვითარება	მ	ფ	შ	ბ	ქ
სტუ-შეპარდენი	25	0	1	+373	50
თბილისი	21	1	4	+104	43
საუ-გამგული	16	1	9	+230	33
ძარიშხალა	13	1	12	+10	27
თელავი	11	0	15	-66	22
ქუთაისი	9	1	16	-84	19



სეფესათიხნარო ტურნირამდე ვინუს უილიამსმა ანა ჩაკეტაძესაც მოუგო

ლაბაძემ პირველ წრეს ვერ უწია


1999 წლიდან მოყოლებული ირაკლი ლაბაძე ჯეიმს ბლეიკს ოთხჯერ შეხვედროდა და წაგებული პირველის შემდეგ მისთვის ზედიზედ სამი მატჩი მოუგო. ამიტომ იმედი იყო, რომ მასთან არც ამ როლანგაროსობის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე წაიფორხილებდა. თუმცა ქართველ მეჩოგუნეს წლებს არც ისეთი იღბლიანი სეზონი აქვს და, იმის მიუხედავად, რომ სადმე არც ბლეიკის წარმატებებისა გვსმენია, ამერიკელმა მაინც უმჯობესად ითამაშა — 6:4 5:7 6:4 და ლაბაძე ძირითადი ბადის მიღმა დარჩა.

სხვაფრივ — გუმბარ გარკვა, რომ ტურნირის გამოაკლდნენ ორგზის მეოთხედფინალისტი ლეიტონ ჰიუიტი და ზორბად მოგლაჯუნე ამერიკელი ტაილორ დენტი. ჰიუიტს, ვინა ინდიანუელსობის ფინალის მერე ისედაც ნაოპერაციევ მარჯვენა ფეხს იმუშებდა, „გაურკვეველ ვითარებაში“ შინ ნეკი ჩატეხვია და როლანგაროსობა კი არა, აპოლონმა უწყის, კორტს როსდა მოუბრუნდება — ვინძლო, ეს საბალახოდ მაინც მოხდეს (ანუ 6 იენისისთვის, როცა რომ უიმბლდონისთვის შესახურებული ქუინზკლამობა უნდა დაიწყოს). ტაილორ


დანტს კი კოჭის ტრავმა აწუხებდა და პარიზში ამიტომაც ვერ გახილავთ, თუმცა — განსხვავებით კოსკასი ოზბიკისგან — ის იქ მისეკ არაფრის გამკეთებელი არ იყო და ამიტომ ძალიანაც არ უნდა დღევანდელს. და ბარემ აქვე გავტყუთ ისინი, რომ საროლანგაროსოდ სტამბოლში მოკაჟავე ვინუს უილიამსის მეოთხედფინალში მეშუადე ხომოგანითხილ ანა ჩაკეტაძეს მოუგო 6:2 6:1 და ნამატჩეკს კსაყოფილებით აღნიშნა, რომ წლას სეფესათიხნარო ტურნირისთვის დად ჩომიანად ვეშაადებით. ევ იყო და ევ

მედიკოსები და

ეს ჯიროს მეთერთმეტე ეტაპია, მთებში რომ მიდის მაროსტაგისა და ჩაიკოლო აღტოს შორის. იტალია, რომ ძალიან ლამაზია, ამის მტკიცებას ავიარ მოგვევებით, ეტაპი კი „დისქავური ჩენელის“ პაოლო სავოლდელომ მოივო.




AFP ბოლო აღტოვდან



AFP კატმანდუდან

მზადება

ბალტიმორში იწყება „პიმლიკო რეისი“ და ცხენ-მხედართა ვარჯიშობაც გახურებულა. ცხენს ჯაგომო ჰქვია, მის მხედარს კი ფრენგი ერარტე.




AFP ბალტიმორიდან

ტრაგედია

იტალიური ექსპედიცია ნეპალში ტრაგედიით დასრულდა. ანაპურნაზე ასვლისას რაზმი ზვავმა მოიყოლა. ერთი მთასვლელო დაიღუპა, სამი კი სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. მათ შორისაა სტეფენ ანდერი, რომელიც კატმანდუში შეკრებილ უურნალისტებს ელაპარაკება.

შოშოლოზა



შოშოლოზა სამხრეთაფრიკული ნავია, რომელიც ამერიკის თასში ჩაებმება. ეკიპაჟი უკვე ვალენსიაშია და ოფიციალური ფოტოსთვისაც გამწვრივებულა.

AFP ვალენსიიდან

სარბიელი
საორტული ვაჟითი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანიზაცია,
სამშაბათის, ოთხშაბათის,
ხუთშაბათის,
პარასკევის და შაბათის

გამომცემელი შარაბ შოშოლოზა
დირექტორი გიორგი შოშოლოზა
მთავარი რედაქტორი ილია შარაბაშვილი
რედაქტორი თამაზ შოშოლოზა
პასუხისმგებელი რედაქტორი ანაბეგოვ შარაბაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა შარაბაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართილაძე,
კობა ინაბაძე, ილია ნანიბაშვილი, კახა შარაბაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: ვიკი ახვლედიანი,
ვიკორე დარჯანიანი, გიორგი ვაშაძე, სოსო კოტორეაშვილი,
ლადო ხშიკრიკა, ვაკე ხევიშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი შარაბაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: ვაჟა ახალაძე, ლევან კვლავაძე
ლითონ მატარებელი ირაკლი შარაბაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კვიციანი
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ჩაიკოლო ბუხუნიშვილი,
ელენე გელუტაშვილი, რუსუდან კრისთაია, ფატი დვალისხელი,
მაგდა ლორაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე,
თამარ ჭინჭაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი - 79, საფოსტო
მუხი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbili@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbili.com.ge>